ალი კალმი

დამოუკიდებელი ნაციონალური პოლიტიკის ორგანო.

შაბათი, თებერვლის 15. (ოებერვლის 1). 1919 წელი.

№ 33.

ფასი 50 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველო ნომერო! ნომერო მენშევიკურო!

ნომერო ინტერნაციონალობისა, შენ მოჯამე შენი დრო!

მეორე ნომერო! ნომერო ნელ-თბილი „დემოკრატიისა“!

ნომერო მონოპოლისტ—სოციალისტებისა, შენი დრო არ დადგება!

ამოვდივარ მე, „მერვე ნომერი“

ნომერი ქართველი მეურნისა—

მიწის მესაკუთრისა! ნომერი

ქართველი ნაციონალისტებისა!

და ვარ მაგარი ისე, როგორც

„სალი კლდე“!

მერიდეთ!

თფილისი, თებერვლის 15.

რაშია საქმე?

ინგლისმა მაშინაც ვერ დაიპყრო მთელი ქვეყანა, როცა ასეთი მძლავრი მეტოქეები ჰყავდა, როგორც გერმანია და რუსეთი და მით უფრო ეხლა ვერ დაიპყრობს, როცა თვით ამ მეტოქეების დაპყრობაცა სჭირდება და მისი ჯარები გაფანტულნი რიან მთელ დედამიწის ზურგზედ. მორალურად ეს დიდი ფაქტორია ინგლისისათვის, მაგრამ ფიზიკურად მეტად სუსტი და სტრატეგიულად უმწეო. იმ ქვეყნების ქალაქებში, რომელთაც ეხლა ებრძვის ან იპყრობს ინგლისი, ათ-ათი ჯარისკაცი რომ ჩააყენოს,—მაშინაც ვერ გასწვდება ინგლისი ყველას და, აქედან არის წარმომდგარი და გაძლიერებული ინგლისის ტრადიციული ჰოლიტიკა: სხვისი ხელით ნარის გლეჯა. ეს ნამეტნავად გამოაშკარავდა დღეს, როცა ქვეყნის ბედის გამგედ ოფიციალად გამოდის ინგლისი, და ნამეტნავად კავკასიისა და საქართველოს გარშემო, საცა მის პოლიტიკას ხელს უწყობს მრავალერიანობა.

მხოლოდ ჩვენ გულუბრყვილო სოციალისტებს ეგონათ, რომ ინგლისი მართლა პატარა ერთა გასათავისუფლებლად იბრძვის და ჩვენშიაც მშვიდობიანობისა და წესის აღსადგენათაა მოსული, თორემ ყველა ჭკვათმყოფელი ხედავდა, თუ როგორ სწორედ პატარა ერების თავისუფლების შეზღუდვით დაიწყო მან ეს ომი და ჩაჭკლა ირლანდიის ბრძოლა თავისუფლებისათვის, როგორც დაიპყრო ეგვიპტე, ჩაითრია ომში იტალია, რუმინია და საბერძნეთი და ასე „დაამყარა წესიერება“.

მაგრამ იმპერიალისტების ბედი ერთნაირია, რადგან მათი ფსიხიკაც ერთნაირია: ისინი იღუპებიან, რადგან მათ გაუმაძღრობას საზღვარი არა აქვს ხოლმე; მეტადრე გამარჯვების ილუზიებში თუ გაეხვევიან.

ჰეინეს, როგორც პოეტს, სძულდა ინგლისი და ამბობდა, თუ ინგლისის კუნძულს არა ჰყლაპავს ოკეანე ეს იმიტომაა, რომ ეშინია, გული არ ამერიოსო. ჩვენ არა გვძულს ინგლისი, მაგრამ პოლიტიკურის თვალსაზრისით აშკარაა, რომ უფრო ძნელია მთელი ქვეყნიერების ოკეანეს გადაყლაპვა კუნძულ ინგლისისაგან ყელზე დაადგება.

აი ამ მდგომარეობიდან უნდა ყოფილიყო გამოანგარიშებული ჩვენი პოლიტიკაც, ვიდრე ჩვენი მთავრობა ისეთ პროსტრაციას გამოიჩენდა ინგლისის აფიცრების წინაშე, რომელსაც შედეგად მოჰყვა სომხების ომის სამარცხვინო ლიკვიდაცია; ჯარების დემობილიზაცია; რკინის გზებზედ რუსულ-ინგლისური ინციდენტები; გერმანულ წარმომადგენელობის გაძევება; ახალციხის აჯანყება; დენიკინის ჯარის შეგროვება თფილისში; ინგლისური პოლიციის შემოღება და სხვა და სხვა, რაიც ძირითადათ ეწინააღმდეგება ჩვენს სუვერენობას.

მართალია, ეხლა „ერთობა“ და სხვა სოციალ-დემოკრატიული გაზეთები და მათი დემოკრატიული ორგანოები **ჭკვახედ** ალაპარაკდნენ, მკვახე რეზოლიუციებს იღებენ, მაგრამ აქაც როგორც ყველაფერში, გვიან მოვიდნენ ჭკუაზედ და იქნება საბედისწეროდაც დააგვიანეს. ახლილი თუ ფარული შეტაკება ინგლისთან ისეთი ადვილი გადასატანი აღარ იქნება, როგორც რუსის ეშალონებთან, სომხებთან, ახალციხელებთან, დენიკინთან და სხვა, რადგან ეს უკანასკნელნიც ხომ მისი აგენტები იყვნენ და საკმაოდ მიგვარესტეს და ამ ავანგარდის მომდევნო ძირეული ძალა უფრო მძლავრია ფიზიკურად, დიპლომატიურის მაქნილობა—მოხერხებით და უფრო ადვილად თუ ვერ დაამარცხებს პირდაპირ ბრძოლაში ჩვენს სამხედრო ძალას, უფრო ადვილად გააცურებს ჩვენს დიპლომატიას, რომელსაც მარცხის მეტი ჯერ არსად არაფერი უნახავს.

ჩვენი საგარეო საქმეები ამრიგად საშინლად არის აწეწილი; სრული იზოლიაცია გვხვდა შედეგად იმ უაზრო პოლიტიკისა, რომელიც ჰქადაგებდა ძმობა-ერთობას სხვებთან და სასტიკ ბრძოლას შიგნით, თვითერში. სხვებმა შეგვიძულეს ისე, რომ დღეს საქართველოს ძმები და მეგობრები კი არა, ნაცნობებიც არა ჰყავს,—გარს სულ მტრები გვახვევია და შიგნით კი დასუსტებულნი ვართ უთანხმოებით.

დროა მოვიდეთ გონსა, დავივიწყოთ შინაგანი ბრძოლა, და ყველა მხრიდან გამდგარ მტერს საერთო, ჭკვათამყოფელი პასუხი გავცეთ: ჩვენი ეროვნული ღირსების დამცველი. დროა მოვიკრიბოთ სამხედრო ძალები სამშობლოს დასაცავად, მისი ეროვნული სხეულის გასამტკიცებლად და არა უილაჯო და უნიადაგო სოციალიზმისა, რომელიც აშკარად შლის ეროვნულ ორგანიზმებს და სამაგიეროდ ჰქნის ქაოსს, საცა მხოლოდ ბნელი ძალები, ჭურღმულებიდან ამომძვრალი ყველა უტიფარი და უსინიდისო თავის ბნელ საქმეებს აკეთებს—დემოკრატიის სახელით. საქართველო არსებითად დემოკრატიული ქვეყანაა და იქ შინაგანი ბრძოლა, რომელიც ჩვენში სწარმოებს—სრულებით არ არის ბრძოლა დემოკრატიისა რამე რეაქციის წინააღმდეგ—ეს ბრძოლაა უსინიდისო ხალხისა სამშობლოს მოყვარულთა წინააღმდეგ. და ბრძოლა საგარეო,—ბრძოლაა უცხოელებისა საქართველოს წინააღმდეგ, როგორც ერისა, და არა მარტო „რეაქციისა“ „რევოლიუციის მონაპოვართა“ წინააღმეგ.

დროა მივხვდეთ იმასაც, რომ ბოლშევიკების, დენიკინების და ინგლისელების ფარული ბრძოლაც ბრძოლაა არა რეაქციისა მხოლოდ, არამედ უმთავრესად ეროვნული და მათთვისაც უფრო გასაგები იქნება და მისაღებიც, როცა ჩვენ ეროვნულად დავიცავთ ჩვენს თავს და დამოუკიდებლობას, ვიდრე რევოლიუციის სასახელოდ- მთელ ქვეყნიერობისათვისაც ამას მნიშვნელობა ექნება და ყველა მიხვდება, რომ „პატარა ერთა განმათავისუფლებელი“ ინგლისი ჩვენში შემოდის პატარა ერთა დასაჩაგრავად, მაშინ როდესაც „იმპერიალისტებმა და მილიტარისტულმა“ გერმანიამ მხოლოდ განათავისუფლა ეს პატარა ერები. ქვეყანა მაშინ გაიგებს. თუ **რაშია საქმე?!**

რ. გაბაშვილი

*) სოციალისტური მოდა.

ხმის მიცემის წესი.

ვისაც საპირადო ბარათი არ მოსვლია უნდა მივიდეს თავის საარჩევნო უბანში (იქ სადაც ხმა მისცა საქალაქო არჩევნების დროს) მოანახიოს თავისი თავი სიაში და მიიღოს ბარათი.

ვისაც საქალაქო არჩევნებში ხმა არ მიუცია და არც საპირადო ბარათი მიუღია, მაინც უნდა მოიკითხოს თავისი საპირადო ბარათი და ხმა არ დაკარგოს.

კონვერტების მიღება შეიძლება მხოლოდ საარჩევნო ყუთთან.

კონვერტში უნდა ჩაიდოს მხოლოდ ერთი ცალი ბიულეტენისა—საკანდიდატო სიისა № 8 (ქალაქის არჩევნების დროის ბიულეტენები (ნომრები) არ გამოდგება); ბიულეტენზე არაფერის დაწერა არ შეიძლება, რომელიმე კანდიდატის გვარის ხაზგასმა, გამოკლება, ან დამატება აკრძალულია კანონით და ასეთ ხმას სულ არ ჩათვლიან.

ბიულეტენები ეროვნულ პარტიისა № 8 ურიგდება ყოველ მკითხველს ,,კლდის" დღევანდელ ნომერთან ერთად.

ვისაც ბიულეტენები დააკლდება ანდა რაიმე ცნობების არ განმარტების მიღება დასჭირდება უნდა მიმართოს ეროვნული პარტიის საარჩევნო ბიუროში 1) ,,კლდის" რედაქციაში—(ქართულ კლუბთან(—ტელ. 18—31. 2) ყოფ. საჩაე ,,ორიონში" ბელინსკისა და ოლოლის ქუჩის კუთხეში.

ყოველი წევრი და თანამოაზრე ჩვენი პარტიისა უნდა გამოცხადდეს თავის პარტიულ ორგანიზაციაში და მიიღოს მონაწილეობა საარჩევნო მუშაობაში. ქალაქ თფილისში მცხოვრები წევრნი და თანამოაზრენი უნდა გამოცხადდენ მთავარი საარჩევნო კომიტეტის ბინაზე (,,კლდის" რედაქციასთან) სახალხის ქუჩაზე, ქართულ კლუბთან.

ტელ. № 18—31.

პროვინციაში მიმავალ თანამოაზრეთ ვთხოვთ შემოვიდნენ საარჩევნო ბიუროში (,,კლდის" რედაქციასთან) და წაიღონ თან პარტიული ლიტერატურა და ბიულეტენები.

ტელ. № 18—31.

საქართველოს ამბები.

სასურსათო განყოფილების შტატის შემცირება.

ქალაქის გამგეობამ დაამტკიცა სასურსათო განყოფილების ახალი, ბევრად შემცირებული, შტატი.

გადასახადების ამკრეფ მილიციის დაარხება.

ქალაქის გამგეობის დადგენილებით ქალაქის მილიციის შტატი გადიდებული იქნება ახალი 8 კომისარის თანაშემწის, 2 უფროსი და 4 უმცროს მილიციელის დანიშვნით, რომელნიც განსაკუთრებით იმუშავებენ ბაჟების და გადასახადების აკრეფაზე. ამათ მიემატებათ კიდევ სხვა მილიციელები არსებულ შტატიდან.

სოჭისა და ახალციხის ფრონტი.

პირობები სოჭაში სამხედრო მოქმედებათა შეჩერებისთვის.

შავი ზღვის სანაპიროზედ, ბრძოლის ველზედ, ინგლისელმა ოფიცერმა წინადადება მისცა სარდლობას, შეეჩერებიათ სამხედრო მოქმედება, სამშვიდობო პირობების შესახებ მოლაპარაკებისათვის. ამის გამო საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ შეატყობინა თავის რწმუნებულთ ადგილობრივ, რომ საქართველოს მთავრობისათვის მისაღებია მხოლოდ შემდეგი პირობები:

მოხალისეთა ჯარისაგან, სოჭის ოლქის სრული გაწმენდა და მისი ბედის საერთაშორისო კონფერენციაზედ გადაწყვეტამდე. სრული ნეიტრალიზაცია ინგლისელ პიკეტების საშუალებით.

საქართველოს ჯარები კი უნდა დაიკავონ „საქართველოს ბუნებრივ სახელმწიფოებრივ საზღვრებს, გაგრის ჩრდილოეთით.

ბიჩერახოვის რაზმი და საქართველო.

მკითხველებმა უკვე იციან, რომ ბიჩერახოვის რაზმის ნაწილი, ინგლისელების შუამდგომლობით ბაქოდან გაშვებულ იქმნა ბათუმისაკენ. საგარეო საქმეთა მინისტრის შესაფერ შეკითხვაზედ, ინგლისის ჯარების მთავარ სარდალმა აცნობა ბ-ნ მინისტრს, რომ იგი სრულს გარანტიას იძლევა, რომ ბიჩერახოვის რაზმი შეჩერებული იქნება ბათომში. საქართველოსა და მოხალისეთა ჯარის შორის სამხედრო მოქმედებათა სრულს დამთავრებამდე, რომ ეს რაზმი არავითარ მონაწილეობას არ მიიღებს საქართველოს საწინააღმდეგო მოქმედებაში და იმ შემთხვევაშიც, თუ მოხალისეთა ჯარმა სოჭაში კონფისკაცია უყო საქართველოს კუთვნილ სურსათს, ან სამხედრო გაწყობილებას, იმავე რაოდენობა ჩამოერთმევა ბიჩერახოვის ჯარს ბათომში, თუ მას, რასაკვირველია, აღმოაჩნდება, გადაეცემა საქართველოს მთავრობას.

კავკაველ ბალშევიკები და საქართველო.

კავკაელ მოხალისეთა ჯარმა აიღო. ამის გამო ბალშევიკები გამოექცნენ მათ და გაჩერდნენ ჩვენი საზღვრებიდან 30 ვერსის მოშორებით. მათში 600 ქართველია. ისინი სთხოვენ ჩვენს მთავრობას, რომ შემოუშვან ჩვენ სახელმწიფოში. პირობას სდებენ, რომ 1) იარაღს აიყრიან და გადასცემენ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას, 2) [illegible] ბაზინა და სხ. ჩაბარებენ ჩვენ მთავრობას. მთავრობამ გადასწყვიტა: ყველა ლტოლვილი ქართველები და პოლიტიკური დევნილები განურჩევლად რწმენისა შემოუშვას, რაც აცნობა ჩვენს მოდარაჯე რაზმს ყაზბეგში. გუშინ დილით ამის გამო გაემგზავრა ავტომობილით სპეციალური კომისია თფილისიდან. მათ ჩამოიყვანენ მცხეთაში, სადაც მოხდება მათი რეგისტრაცია, განაწილება და სხ. ამ საკითხის შესახებ ინგლისის მისიამ ის აზრი გამოსთქვა, რომ ვინაიდან მოხალისენი და ბალშევიკები ერთმანეთს არ ინდობენ და მხოლოდ ხოცავენ, ინგლისი პასუხს ვერ აგებს ევროპის წინაშე ამდენი ხალხის გაწყვეტაში და მისიაც ჰფიქრობს, რომ ლტოლვილი ბალშევიკები საქართველომ უნდა შეიფაროს. ინგლისელები თანახმა იყვენ თვითონ მიეღოთ აქ გამოქცეული ბალშევიკები, მაგრამ ჩვენმა მთავრობამ განუცხადა რომ საქართველოში მიღება, თუ არ მიღება ლტოლვილებისა მთლიანად საქართველოს მთავრობის საქმეა, რადგანაც იგი თავისი სახელმწიფოს ტერიტორიაზე თითონ ბრძანებლობს.

ინგლისელ ოფიცერის მოქმედება ახალციხეში.

დიდი ბრიტანეთის მისიამ მწუხარება განუცხადა საგარეო საქმეთა მინისტრს იმის გამო, რომ ცნობა გენ. მაზნიაშვილთან მყოფ ინგლისელ ოფიცრის ჩარევისა, უკანასკნელის განკარგულებაში გამოქვეყნდა, ვიდრე ინგლისის მისია ამ ამბავს გაიგებდა.

ამავე დროს მისიამ დაარწმუნა ბ-ნი მინისტრი, რომ ზემოთაღნიშნული ოფიცერი გაგზავნილი იყო ახალციხეში, გენ. მაზნიაშვილის სრულს განკარგულებაში და მის დასახმარებლად და თუ რაიმე უპასუხისმგებლო ნაბიჯებს სდგამს თავის ნებით, დაუყონებლივ მიეცეს მას განკარგულება ზემოხსენებულ სახით.

ფელეტონი.

სოციალისტური რესპუბლიკა

გერმანიის რაიხსტაგის წევრის

რიხტერის კრიტიკა

თავი XX

სამწუხაროა, როგორ სწრაფათ მატულობს საქმე, საკუთრების უფლების შესახებ, მიუხედავათ იმისა, რომ ოქრო და ვერცხლი აღარ არსებობს. როგორც კონტროლერი, მე ეხლა კულისებს იქით ბევრს ისეთ რამეს ვხედავ, რაც წინად დაფარული იყო ჩემთვის. ფულის გაფლანგვა წინანდელთან შედარებით ათ ჯერ უფრო მეტია ყველა დარგის მოსამსახურე რაიმე საჩუქრისა ან ლახმარებისათვის აძლევს სხვას სახელმწიფო საქონელს უანგარიშოთ, ან არა და სამსახურის დროს კანონიერის გზით არ ამოწმებენ საბუჰალტერო წიგნებში სათანადო კუპონებს ფულის წიგნაკისას. მერე ყალბი სასწორით, ან ყალბი საქონელით ცდილობენ დაფარონ კუპონების ღირებულებაზე მეტი გაცემული საქონელი.

იშვიათი არაა აგრეთვე ქურდობა ფულის ასსიგნოვკებისა. ფოტოგრაფიულმა სურათებმა წიგნაკებზე მასსიურ ხმარების დროს ვერ ააცდინა მესამე პირისგან ასსიგნოვკით სარგებლობა. ვისაც მეტის მიცემა შეუძლონ საჭირო პირისათვის, ის სასარგებლო და მოხერხებულ ადგილსაც ღებულობს დაწყებული ბატარადან დიდ მოხელემდე. ყოველ თათბირის დროს ჩვენ უფროს კონტროლერთან, კონტროლის სასარგებლოდ ყოველთვის ახალს საშუალებას გვირჩევენ ამ სფეროში.

აქამდე ყოველთვის ჩემს თავს ვანუგეშებდი იმით, რომ გარდამავალი ხანა გაივლის და ყველაფერი გაუმჯობესდება მეთქი. მაგრამ ვერ დავფარავ ჩემგანვე, რომ საქმე სულ უარესათ მიდის. ერთი ჩემი ამხანაგთაგანი ამ ფაქტს შემდეგნაირათ ხსნის მას შემდეგ, რაც ხალხს საშუალება წაერთვა კანონიერის გზით საკუთარის ძალლონით ასწიოს თავისი მდგომარეობა ნაბრძანებ საერთო სიმაღლეზე, მთელი მათი მისწრაფება მიმართულია იქითკენ, რომ უკანონოთ მოიპოვონ ის, რაც სხვა საშუალებით მათთვის მიუწდომელია.

თავი XXI

ჩვენ საშინელი დღეები გავატარეთ. კვირას დილით მოულოდნელად მოვიდა ფრანცი, რომელიც შტეტტინში მიდიოდა საცა, როგორც თითონა სთქვა—გადაიყვანეს. ჩემ ცოლს არ გაჰკვირვებია იმისი მოსვლა, თუმცა წასვლის დროს კი მღელვარება დაეტყო. ტირილი აუვარდა, მოხვია შვილს ყელზე ხელები და ვერაფრით ველარ მოშორდა. ფრანციც ისე გამომეთხოვა მე, თითქო სამუდამოთ მშორდებოდა, მისი საცოლე აგნესა მე არ მინახავს. ორივე შტეტტინის რკინის გზის სადგურზე შეხვდებოდნენ ერთმანეთს.

ოთხშაბათს როგორღაც უგულოთ ვუკითხავდი ჩემ ცოლს მთავრობის გაზეთის ცნობებსა იმის შესახებ, რომ ზღვის ნაპირზე კიდევ დახოცეს გადახვეწილები მცველებმა. ჩემმა ცოლმა წამოიძახა—,,სად?" როცა მე ვუპასუხე ზასენიცკის ჰავანში—მეთქი. მას გული. წაუვიდა. ძლივს გონს მოვიყვანე. ენის ბორძიკით მითხრა, რომ ფრანცი და აგნესა კვირას ერთად წავიდნენ და შტეტტინგში კი არა, არამედ ზასენიცში რიუმენის კუნძულზე, რათა გერმანიას განშორებოდნენ. გაზეთი იმასაც იტყობინებოდა, რომ გადახვეწილებმა წინააღმდეგობა გაუწიეს დათვალიერების დროს საზღვარზე მდგომ დარაჯებს ზასეშტეტინგიდან ზასენიცაში მოსულთ დანიის საფოსტო გემით, რომლითაც გადახვეწილები ძალით გადაყავდათ ნაპირზე.

ჩვენ საშინელი წუთები გამოვიარეთ მწუხარებასა და შიშში, ვიდრე მთავრობის გაზეთის შემდეგ ნომერში არ ამოვიკითხეთ სახელი და გვარი მოკლულთა და დაჭერილთა. ფრანცის და აგნესას სახელი სიაში არ იყო. მაგრამ რა მოუვიდა იმათ?

ჩემმა ცოლმა ყველაფერი მიამბო რაც იმათ გაქცევამდე ხდებოდა. უკვე ჩემი ცოლის დაბადების უკანასკნელ დღეს ფრანცი გამოუტყდა დედას და შეატყობინა თავისი შეურყეველი გადაწყვეტილება, როცა შეიძლებოდა ჩქარა დაეტოვებინა გერმანია, საცა ცხოვრება შეუძლებელი იყო მისთვის. შვილმა დაბეჯითებით სთხოვა დედას ჩემთვის არ შეეტყობინებია ეს მისი განზრახვა, რადგან ეშინოდა, რომ მე ამისი წინააღმდეგი ვიქნებოდა. ამაოდ სცდილობდა დედა, დაეშლევინებია შვილისთვის თავისი გადაწყვეტილება, იგი არ იშლიდა და მტკიცედ იდგა თავის აზრზე.

ძველი დროდან დარჩენილი ჰქონდა ჩემს ცოლს რამდენიმე ოქროს ფული, რასაც მეც მიმალავდა. ეს ფული მისცა ფრანცს ხარჯებისთვის უცხოეთის გემზე გადასვლის დროს რომ დასჭირდებოდა. აგნესა ჯერ კიდევ წინააღმდეგობას იჩენდა. იგი მზათ იყო, თუნდ ჯოჯოხეთშიაც ჩაჰყოლოდა ფრანცს თუ ეს საჭირო იქნებოდა, მაგრამ ჯერ საჭიროთ არა სთვლიდა სხვა ყველაფერი მიეტოვებინა, რაც მას უყვარდა. მაგრამ მალე თვით აგნესას მდგომარეობაც აუტანელი შეიქნა, რაც მე მხოლოთ ეხლა გავიგე.

ახალგაზრდა ქალიშვილი დინჯათ და თავდაჭერილათ მუშაობდა წინათ მშობლების ოჯახში დიდი მოდურ მაღაზიისათვის. ეხლა კი დიდ სახელოსნოში მოუხდა მუშაობა და მთელი დღე სხვა ქალებთან ერთად ყოფნა უხდებოდა, ისეთ ქალებთან, რომელნიც ძალიან მსუბუქი ყოფა-ქცევისანი იყვნენ. აგნესა მოთმინებიდან გამოჰყავდა სახელოსნო მეთაურ ზოგიერთ მამაკაცების ლაპარაკსა და ქცევას. რომ იჩივლა, ამან კიდევ უფრო წაუხდინა საქმე. რადგან ლამაზი იყო, თავს აბეზრებდა არშიყობით ერთ-ერთი გამგე სახელოსნისა. მკვახე უარმა იმ ზომამდე გააბრაზა მოარშიყე, რომ ყოველის გზით ავიწროვებდა ახალგაზრდა ქალს, უწუნებდა ნამუშევარს და სხვა. რასაკვირველია, ასეთი რამ ძველი წესწყობილების დროსაც ხდებოდა. მაგრამ

უცხოეთის ამბები

ტელეგრამები.

საქართველოს სააგენტოსი.

ხალხთა ლიგა—სამხედრო კავშირი.

სამხედრო კომისიაში საფრანგეთმა წარადგინა პროექტი, რომელიც შეიცავს წინადადებას შეიქნას დიდი საურთიერთო კავშირი ხალხთა ლიგის წევრ-ქვეყნებისგან. ამ კავშირის ყოველი წევრი მოვალე იქნება გაგზავნონ ჯარის ლიგის იმ წევრის დასახმარებლათ, რომელსაც ესა თუ ის სახელმწიფო თავს დაესხმება. ფიქრობენ, რომ ამერიკა ამ პროექტის წინააღმდეგი არ ნქნება.

ჯარის მოთხოვნილება გოტაში

ნაუენი, თებ. 9 გოტში შესდგა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების კრება, რომელმაც მოითხოვა მთავრობისაგან 24 საათის განმავლობაში ვეიმარიდან გვარდიის უკან გაყვანა წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებიან საყოველთაო გაფიცვებით დ თეთრ გვარდიელების წინააღმდეგ გამოსვლით. 1 და 2 საარმიო კორპუსების საბჭოს წარმომადგენლებმაც განაცხადეს, რომ ასეთივე ზომებს მიმართავენ თუ ებერტს დროებით პრეზიდენტათ აირჩევენ.

სპარტაკელთა მოძრაობა ჰამბურგში.

ჰამბურგი თებ. 5 სპარტაკელებმა ხელთ იგდეს საარტილერიო ყაზარმები და იარაღი აყარეს იქ მყოფ ჯარს, რომელიც ჯარისკაცთა საბჭოს არ დაემორჩილა. რკინის გზის მოძრაობის შეწყვეტის გამო ბირჟა დაიკეტა. წინა ღამეს სპარტაკელები რამოდენიმე ალაგას თავს დაესხენ მოდარაჯე ჯარის ნაწილებს. ოთხგან გაიმარჯვეს და იარაღი წაართვეს ჯარისკაცებს. სხვა ადგილებში მთავრობის ჯარმა ისინი მოიგერია. სპარტაკელებმა ნავთსადგურში შეჭრა სცადეს, მაგრამ უკუ აქციეს.

მემარცხენე ესერთა შეთქმულება.

მოსკოვი, თებერვ. 13 სრირუს. ცენტ. საგამომძიებლო კომისიამ აღმოაჩინა მემარცხენე ერების დიდი შეთანხმება. შეთქმულებს განზრახული ჰქონიათ ტეროორის საშუალებით და აჯანყებების მოწყობით საბჭოთა მთავრობის დაცემა. დააპატიმრეს მათი რამდენიმე მეთაური და მათ შორის სპირიდონოვის ქალი.

სპარტაკელების მოძრაობა ლიუბეკში.

ლიუბეკი. თებერვლის 7 ადგილობრივი ჯარისკაცთა საბჭო სპარტაკელების მხარეზე გადავიდა, რომელმაც დაიჭირა ფოსტა-ტელეგრაფი. მოსამსახურეებმა გაფიცვა გამოაცხადეს. სპარტაკელებმა სადგური გამბურგი დაიჭირეს. რათა იარაღი აყარონ გამბურგში მომავალ მთავრობის ჯარს. აქ რკინის გზებში გაფიცვას აპირობენ. ბერლინი, თებერვლის 8. ლიუბეკის ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ გაიგო რა ბრემენში მომხდარი ამბები, გამოუშვა მოწოდება ჯარისკაცთა მიმართ, სადაც ანთავისუფლებდა მათ მთავრობისადმი მიცემულ ფიცისაგან და მოუწოდებდა მათ ბრემენისაკენ წასასვლელათ და კონტრრევოლიუციონურ არმიასთან საბრძოლველათ.

ომის განახლების შიში.

საფრანგეთში ეხლა ხალხთა ლიგის შექმნაზე იმდენს არ მსჯელობენ, რამდენსაც დროებითი ზავის განახლების შესახებ. საფრანგეთის პრესას სახიფათოთ მიაჩნია შეთანხმების ჯართა დემობილიზაციამაშინ, როცა გერმანიაში ჯერ კიდევ რამდენიმე მილიონი კაცი თოფ ქვეშ სდგას. ინგლისის აზრით დროებითი ზავის განახლების და საზავო ხელშეკრულების დადების მთავარი მიზანი არის: ევროპის განთავისუფლება მილიტარიზმისაგან, პირველათ უნდა განადგურდეს მილიტარიზმი გერმანიაში. არის ასეთი წინადადება: ეხლავე შეამცირონ გერმანიის ჯარი მშვიდობიან დროის რაოდენობამდე, რათა მოკავშირეებს შეძლება მიეცეთ უფრო სწრაფათ მოახდინონ თავისი ჯარის დემობილიზაცია. რომ ფრანგული პრესა აღნიშნავს გერმანიის ეროვნულ ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვების ტონს, რომელიც მოწმობს, რომ ხიფათი მოსალოდნელია.

შვეიცარიელ გერმანელების მიხალმება ვილჰელმ II.

შვეიცარიაში დაკავებულმა რამოდენიმე გერმანელმა აფიცერმა ვილჰელმ მე-II-ის დაბადების დღე იდღესასწაულეს. მათ გამართეს ბანკეტი, რომელზედაც სიტყვები წარმოსთქვეს მონარქიის აღდგენისა და ელზას-ლორენის დაბრუნების შესახებ. ლიუცერნში ყველა დაკავებული გერმანელები, მათ შორის აფიცრებიც, ასეთივე მანიფესტაციებს აწყობდენ, ვილჰელმის სადღეგრძელოს სვამდენ და უსურვებდენ მას გერმანიაში დაბრუნებას და მისი ყველა უფლებათა აღდგენას. ამის შემდეგ შეადგინეს დეპეშა ვილჰელმისთვის გასაგზავნათ, მაგრამ დეპეშის ტექსტი იმდენათ შეურაცმყოფელი იყო მოკავშირეთათვის, რომ ტელეგრაფმა იგი არ მიიღო გასაგზავნათ. გერმანელებმა გადააკეთეს დეპეშის ტექსტი, რომელშიც მხოლოდ უსურვებდენ იმპერატორს სამშობლოში დაბლუნებას და ეფიცებოდენ ერთგულობას. დეპეშა ასე თავდებოდა: „მიზანი საშუალებას ამართლებს“.

სპარტაკელთა მეთაურის დაპატიმრება.

ვოლფის სააგენტოს ცნობით ოთხშაბათს რადეკი დააპატიმრეს თავისი სახლში შარლოტენბურგში. მას ჩამოართვეს დიდძალი ფული და მნიშვნელოვანი საბუთები.

დროებითი ზავის განახლების საკითხი

პრესაში მოთავსებულია შემდეგი ცნობები იმ გადაწყვეტილებებზე, რომელიც მიიღო უმაღლესმა სამხედრო საბჭომ დროებით ზავის პირობების განახლების გამო: 1) მარშალი ფოშში წინადადებას მისცემს გერმანიას აასრულოს წინანდელი პირობები. გერმანელები ცდილობდენ დაეგვიანებიათ დროებითი ზავის პირობების შესრულება, ამ შემთხვევაში კი მას ამის ნებას არ მისცემენ. გარდა ამისა გერმანელებს აეკრძალება პოლონეთის წინააღმდეგ მოქმედება. გერმანიამ უნდა დააბანაკოს ჯარი მხოლოდ აღნიშნულ ხაზის აქეთ. 2) დროებითი ზავს განაახლებენ მხოლოდ მოკლე დროით და მასთან ერთად მოკავშირეთ უფლება აქვთ შეწყვიტონ დროებით ზავი, თუ გერმანელებმა პირობების ასრულება დააგვიანეს 3) როცა გაეცნობიან თავიანთ დელეგატების ტეხნიკურ გამოკვლევებს, მოკავშირეთა მთავრობები წარუდგენენ გერმანიას, ახალ პირობებს რომელიც მან უნდა მიიღოს დიდი ხნით,-შესაძლოა ზავის შეკვრამდე. ეს პირობები ისეთი იქნება, რომ გერმანია ზავს მომავალში ველარ დაარღვევს.

მთავრობის საბჭოს თავმჯდომარემ გუშინ მიიღო მარშალი ფოში, მარშალი პეტენი და გენერალი ვეილანდე. მათ ითათბირეს დროებით ზავის ახალ პირობებზე, რომელსაც გერმანიას წარუდგენენ.

სპარტაკელთა დიდი შეთქმულების აღმოჩენა

დაპატიმრებული რადეკი ჩამოიყვანეს ავტომობილით, რომელზედაც ტყვიისმფრქვეველები დადგეს იმ შემთხვევისთვის თუ ბრბო დაესხმოდა. რადეკი ჯერ სამხედრო უწყებას ჩააბარეს შემდეგ კი ციხეში მოათავსეს. დაკითხვაზე პოლკოვნიკ რეინჰადტს რადეკი უმტკიცებდა, რომ ის რიხარდ მიულერმა და მიულ კენბურგმა გაიწვია ბერლინში. მასთან ერთად დაუპატიმრებიათ მისი მდივანი ქალი და სტენოგრაფისტკა. რადეკთან დაჭერილ საბუთების წყალობით აღმოაჩინეს სპარტაკელთა საიდუმლო ორგანიზაცია. წერილებიდან სჩანს, რომ ახალწლისთვის განზრახული იყო ბოლშევიკურ ამბოხების მოწყობა მთელ გერმანიაში. ერთ და იმავე დროს რუსეთის ბოლშევიკებს შეტევა უნდა დაეწყოთ აღმოსავლეთიდან.

ARCHIVE
BIBLIOTHECA

არ დაგავიწყდეთ!

დამფუძნებელი კრების არჩევნები თავდება ხვალ!

არც ერთი ხმა არ უნდა დაიკარგოს!

გახსოვდეთ მერვე ნომერი!

გერმანიის ახალი მთავრობის პროგრამა

გერმანიის ახალი მთავრობის პროგრამა საერთოდ შემდეგში გამოიხატება: გერმანიის ეროვნულ ყრილობის სუვერენულ-ლ უფლებათა აღიარება; სახელმწიფოს განმტკიცება ძალა-უფლების ცენტრალიზაციით: მმართველობის სრული დემოკრატიზაცია, „დემოკრატიულ საფუძვლებზე სახალხო არმიის შექმნა და მასში საბჭოების დატოვება ისეთი სახით, რომ ჯარმა დისციპლინის და მოვალეობის ასრულების უნარი არ დაკარგოს, მეურნეობის წარმოების დატოვება ძველ სახით, ვიდრე შრომის მოთხოვნილება და წინადადება არ გაუსწორდება ერთმანეთს; განსაკუთრებით სასურსათო სფეროში; ენერგიული მუშაობა მიმოსვლის და ეკონომიურ ცხოვრების აღსადგენათ, სოციალიზაციის აღიარება იმ სახით, როგორც ეს ებერტმა განსაზღვრა პრესის წარმომადგენლებთან საუბარში; ისეთი სოციალური პირობების შექმნა, როდესაც უზრუნველყოფილ იქნება: მუშაობა, უმუშევართა დასახიჩრებულ მოუმართა უფლებები ზავის შეკვრა რაც შეიძლება მოკლე ხანში; ხალხთა ლიგის შექმნა ახალშენების გაბრუნება და სამხედრო ტყვეების სამშობლოში დაბრუნება.

თავისთავად ცხადია, რომ პროგრამის საფუძველად ედება ძირითადი დემოკრატიული საფუძველნი: სიტყვის, პრესის, სინდისის კრების, კავშირის თავისუფლება და საყოველთაო თანასწორი საარჩევნო უფლება,

არეულობა ელზასში.

ელზასში მშიერთა „არეულობა მოხდა. პოლიციამ 100 კაცი დააპატიმრა.

ბოლშევიზმი რუმინიაში.

სალონიკიდან იუწყებიან, რომ რუმინიაში გავრცელდა ბოლშევიკური მოძრაობა. ბუქარესტის გარნიზონის ჯარისკაცთა კრებამ მამოიტანა რეზოლიუცია დაარსონ ჯარისკაცთა საბჭოები.

ბუდაპეშტი თებ. 4 „ფორვერტსის“ ცნობით რუმინიის ჯარში ბოლშევიკური მოძრაობა თანდათან ძლიერდება. ბუქარესტის ყაზარმებში ჯარისკაცებმა მოახდინეს კრება და მოითხოვეს ჯარისკაცთა საბჭოს არჩევა. პოლკის უფროსი გადაყენეს.

საფრანგეთის მე-2-არმიის დაშლა

მიულჰაუზენში მდგარი საფრანგეთის მეორე არმია დაშალეს.

გაფიცვები ბრემენში.

ბრემენში ვერფის მუშებმა მოითხოვეს მთავრობის ჯართან სპარტაკელთა შეტაკების დროს დაპატიმრებულ მუშების განთავისუფლება. წინააღმდეგ შემთხვევაში გაფიცვის გაგრძელებით იმუქრებიან. გადასწყვიტეს ვერფზე მუშაობა შესწყდეს.

გაფიცვების შეწყვეტა ზემოსილეზიაში.

ზემო სილეზიაში გაფიცვა შეიძლება გათავებულათ ჩაითვალოს. მუშაობა ყველგან განაახლეს.

მაშინ ის მაინც იყო, რომ ერთი სახელოსნოდან მეორეში გადასვლა შეეძლო ადამიანს. ეხლა კი ზოგიერთი ხელმძღვანელები ისე უყურებენ მომუშავე ქალებს, როგორც თავის უმწეო მონებს. უმაღლესმა მოხელეებმა იციან ეს, მაგრამ თვით ისინიც უკეთესად არ იქცევიან, ბოროტად ხმარობენ თავიანთ უფლებას და ამიტომაც გამწყრალის თვალით უყურებენ იმას, ვიზედაც მათთან საჩივარი შედის. ამგვარათ მშობლები და საქმრო ახალგაზრდა ქალისა. რომლის სახელსა და პატიოსნებას საშიშროება მოელის, მხოლოდ ისაღა დარჩენიათ თავი დაიცვან. შედეგი ამაებისა ორის სასტიკი ძალადობა და მკვლელობა, როგორც ამას ყოველ დღე ვტყობილობთ ჩვენი კონტროლერების თათბირზე.

აგნესას, რაკი მამა მოუკვდა, ბერლინში მფარველი აღარა ჰყავს. საკოლოს წერილებმა სასოწარკვეთილებაში ჩააგდეს ფრანცი და დააჩქარეს მისი განზრახვა დაეტოვებინა გერმანია. ახლა თვითონ აგნესასაც ძალიან უნდოდა ესა. ჩემმა ცოლმა მოუმზადა ყველაფერი, რაც საჭირო იყო საგზაოდ.

ასე დაგვიდგა უკანასკნელი კვირა, რომელიც ჩვენ ასეთის ტანჯვით გავატარეთ როგორც იყო, თითქმის რვა დღის შემდეგ მივიღეთ ცნობა. ორივესაგან მოგვივიდა წერილი ინგლისიდან, ისინი არ ყოფილიყვნენ დანიის საფოსტო გემზე. ზასენიცაში გაჩერებულიყვნენ ერთ მეთევზესთან, ჩემი ცოლის შორეულ ნათესავთან. იქაური სანაპირო მცხოვრებნი საშინლად მტრულად განწყობილნი არიან ახალ წესების მიმართ, რომლის წყალობითაც მოესპოთ მათ წინანდელი ადვილი და სარფიანი შემოსავალი, რასაც შორიდან მოსულ მობანავეთაგან იღებდნენ: გასოციალისტებული საზოგადოება საბანაოდ წასვლის ნებას მხოლოთ იმათ აძლევს, რომელთაც ეს ექიმთა კომისიისაგან შემოწმების შემდეგ დანიშნული აქვთ.

ჩვენი ფრთხილი მეთევზე წინააღმდეგი შეიქმნა ფრანცისა და იმის საცოლის განზრახვისა რომ გაპარვისათვის ესარგებლნათ ერთ-ერთი საფოსტო გემით, რომელსაც ამ ბოლო დროს სასტიკად ადევნებენ თვალ-ყურს. იმ დროს, როცა საზღვრის დარაჯთა მთელ ყურადღებას საფოსტო გემი იპყრობდა, მეთევზემ თავის სათევზო ნავზე დასვა ისინი და ხღვით წაიყვანა შტუბბენკამერამდე, საცა მშვიდობიანათ გადაიყვანა ინგლისის გემზე, რომელიც შტეტტინიდან ბრუნდებოდა. ინგლისელები, რომელთა ვაჭრობა ძალიან შეფერხებულია გერმანიაში ახლად დაარსებულ წეს-წყობილების მეოხებით, ყოველთვის სიამოვნებით თანხმდებიან ცოტა უსიამოვნება მიაყენონ სოციალ-დემოკრატიულ მთავრობას გადახვეწილების წაყვანით. ამგვარათ ფრანცი და აგნესა უვნებლათ მივიდნენ ინგლისში და ამ ჟამად გამგზავრებულნი არიან ნიუიორკისაკენ.

საბრალო ბავშვები! რამდენი გაჭირვება გამოიარეს! ჩემი კეთილი ცოლი ხომ რომელიც დიდხანს მიმალავდა თავის შიშსა და ფიქრს! რით უნდა ვუზღო მე მას ამოდენა დედობრივი თავგანწირულება!

(შემდეგი იქნება)

საქართველოს ეროვნული პარტიის
საარჩევნო პლატფორმა.

მამულიშვილნო!

ეროვნული პარტიის ლოზუნგია ,,საქართველო ჯერ ქართველებისათვის''!

საქართველომ უნდა მოიპოვოს თავისი ისტორიული საზღვრები.

ეროვნული პარტია იცავს მტკიცედ კერძო საკუთრების ხელუხლებლობას, როგორც ქალაქად, ისე სოფლად.

———

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ მიწის საკითხი გარდაწყდეს სახელმწიფო, და არა უაჩალური წესით.

———

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ ნამუსის ჩამორთმევა მოხდეს ხელოლდ ისეთ შემთხვევაში, როცა ეს საჭიროა სახელმწიფო მოსაზრებით (ქართველ ცლეხობის დასახლებისათვის).

———

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ ნორმა მიწის მფლობელობისა გადიდებულ იქმნას ყოველგან ადგილობრივი პირობების მიხედვით

———

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ ჩამორთმეულ მიწაში მამულის პატრონს მიეცეს მისი ფასი.

———

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ ნეპადართული იქმნას მიწების კერძოდ ყიდვა--გაყიდვა (ქართველებისთვის)

———

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ უცხოელებს (ოსებს სომხებს, რუსებს) აეკრძალოს მიწის შეძენა საქართველოში სანამ არ დაკმაყოფილდება ქართველი გლეხობის საჭიროება (თავდაპირველად მიწა უნდა მიეცეს ჯარში ნამსახურ ქართველებს)

———

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ მოსპობილ იქნას მონოპოლისტებისა და სპეკულიანტების პრივილეგიები და ქართველ ვაჭარ-მრეწველს საშუალება მიეცეს წესიერად აწარმოოს თავისი საქმე.

———

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ დაუყონებლივ მოხდეს სრული ნაციონალიზაცია ყველა დაწესებულებათა (თავდაპირველად თფილისის ქალაქის თვითმართველობისა) და თანამდებობანი, რომელიც უცხოელებს აქვთ დაკავებული, გადაეცეს ქართველ მოხელეებს.

———

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ საქართველოს დასაცავად მოეწყოს ერთი, მთლიანი სამხედრო ძალა—მუდმივ რეგულიარული ჯარი; ყოველივე სხვა გვარი პარტიული რაზმები და გვარდია უნდა გაუქმდეს.

———

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ დაცული იქნას ეკლესიისა და სამღვდელოების ქონებრივი დოვლათი და მთავრობა მეტის პატივის ცემით მოეპყრა ქართველი ხალხის სარწმუნოებრივ მოთხოვნილებებს.

———

მამულიშვილნო! არ შეცდეთ! არ მისცეთ ხმა არც ერთ სოციალისტურ პარტიას: სოციალ-დემოკრატები (მენშევიკები), ფედერალისტები, რევოლიუციონერები ყველა ბოლშევიკური ჯურის ხალხია და სულ სხვისი საკუთრების წართმევაზე ფიქრობენ; ჯერ სოფელს მორჩებიან, მერმე ქალაქის მესაკუთრეს მისდგებიან!

მამულიშვილნო! არ შეცდეთ! არ მისცეთ ხმა არც № 2-ს ,,ეროვნულ-დემოკრატებს'' (გაზეთ ,,საქართველოს'') არც რადიკალ-დემოკრატებს და არც უპარტიო დამოუკიდებლებს ესენი ყველა მენშევიკების მაჩანჩალა პარტიებია, ნამდვილი ეროვნულ-დემოკრატიული პროგრამა მათ არა სწამთ და ამიტომაც ხელი მოაწერეს ნ. ხომერიკის მიწის კანონებს.

მამულიშვილნო. მხოლოდ, ,,საქართველოს ეროვნული პარტია,, დაიცავს მტკიცედ, ისე როგორც ,,კლდე'' სახელმწიფოებრივ პროგრამას.

ჩვენი გიულეტენი
დამფუძნებელი კრების არჩევნებში
ასეთია

ხმას ვაძლევ „საქართველოს ეროვნულ პარტიის“ სიას

№ 8

1. **ვეშაპელი** (ვეშაპიძე) გრიგოლ გიორგის ძე;
2. **ქარუმიძე** შალვა ალექსანდრეს ძე;
3. **ვაჩნაძე** დავით ვლადიმერის ძე;
4. **გაბაშვილი** რევაზ (ლეონიდე) ალექსანდრეს ძე;
5. **მაჩაბელი** მიხეილ ვახტანგის ძე;
6. **ჯავახიშვილი** დიმიტრი ვასილის ძე;
7. **ცაგარელი** ალექსანდრე ანტონის ძე;
8. **სარაჯიშვილი** ალექსანდრე თედორეს ძე;
9. **გაბაშვილი** ნიკოლოზ სოლომონის ძე;
10. **ორბელიანი** გიორგი ილიას ძე;
11. **ჯანდიერი** ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე;
12. **ელიაშვილი** ივანე სპირიდონის ძე;
13. **კაპანელი** (ჭანტურაია) კონსტანტინე გრიგოლის ძე;
14. **ეკალაძე** ია. (ცინცაძე) იაკობ თომას ძე;
15. **ლოლობერიძე** დავით სიმონის ძე;
16. **კელენჯერიძე** დავით ბესარიონის ძე;
17. **ციციშვილი** ივანე გიორგის ძე;
18. **იშხნელი** მიხეილ ნიკოლოზის ძე;
19. **ლუდუშაური** ბართლომე;
20. **ივანიცკი** ტარასი;
21. **მამრაძე** გიორგი გრიგოლის ძე;
22. **სიდამონ-ერისთავი** ვალერიან;
23. **ნიჟარაძე** რაფაელ;
24. **კიკაბიძე** ლადო სპირიდონის ძე;
25. **ქასრაშვილი** კსენეფორე ნიკოლოზის ძე;

დამფუძნებელ კრების მთავარი საქალაქო საარჩევნო კომისიისგან.

თფილისის მთავარი საქალაქო საარჩევნო კომისია ატყობინებს საზოგადოებას, რომ დამფუძნებელი კრების არჩევნები მოხდება ამა წლის **14, 15** და **16** თებერვალს დილის 9 საათიდან, საღამოს 9 საათამდე შემდეგ ადგილებში:

1-ლ კომისარიატში.

1	საარ.	უბანი—	ქართულ უნივერსიტეტის შენობაში ვაკე.
2	„	„	საბურთალოს თეატრში.
3	„	„	ქალაქის პირველ დაწყებით სასწავლებელში, ოლღას ქ. სახ. მაჩაბლისა, № 52. კირპიჩნის შესახ.
4	„	„	პირველ მომრიგებელ სასამართლოს განყოფილებაში.
5	„	„	სამიწათმზომელო სასწავლებელში, გუნიბის ქუჩაზე.
6	„	„	მეოთხე ქალთა გიმნაზია, ანასტასიას ქ. 23.

2-ე კომისარიატში

7	„	„	მინიატურის თეატრში, ს. მელიქ-აზარიანცისა, ვერის დაღ.
8	„	„	არტისტულ საზოგადოების დარბაზში, გოლოვინის პრ.
9	„	„	ღარიბთა თავშესაფარში, ზუბალაშვილის სახლი სასამართ. ქ. 48
10	„	„	თფილისის საოლქო სასამართლოს შენობაში.

3-მე კომისარიატში.

11	„	„	პირველ ვაჟთა გიმნაზიაში. გოლოვინის პროსპექტი.
12	„	„	სამოქალაქო სასწავლებელში, ს. აფრიკიანისა. ბებუთოვის ქ.
13	„	„	სავაჭრო სასწავლებელში, სახლი მანთაშევისა. ბებუთოვის ქ.

4-ე კომისარიატში.

14	„	„	სახელოსნო გამგეობაში. სალდათის ბაზარი.
15	„	„	მანთაშევის ქარვასლაში, სომხის ბაზარი № 62.
16	„	„	სომხების საქველმოქმედო საზოგადოების დარბაზში. ალექსანდროვის მოედანზე.

5-ე კომისარიატში.

17	„	„	მაჰმადიანთა აუდიტორიაში, ბოტანიკურ ქუჩაზედ.
18	„	„	პუშკინის საქალაქო სკოლაში. ვორონცოვის ქუჩაზედ. არბუზის მოედანი.
19	„	„	ტოლლეს ქარხნის კონტორაში, ვორონცოვის ქუჩაზედ.

6-ე კომისარიატში.

20	„	„	ნადეჟდინის თავშესაფარის შენობაში, რეიტერის ქუჩაზედ.
21	„	„	ქალაქის ახალ სასაკლაოს კანტორაში.
22	„	„	ძმათა ტ. აბრამოვების ნავთის ამხ. კანტორაში, კახეთ. ქ.
23	„	„	სამინისტროს სკოლაში, კახეთის ქ. № 46.
24	„	„	მურაშკოს თეატრში, თელავის ქუჩაზედ.
25	„	„	ცარიელ დუქანში, კახეთის ქუჩაზედ, სადაც იმყოფება მოსამსახურეთა ეკონომ. საზოგადოების განყოფილება.

7-ე კომისარიატში.

26	„	„	არაკსიანის თეატრში. კონსტანტინეს ქუჩა 11.
27	მეხუთე	ვაჟთა	ავლაბრის გიმნაზიაში. პეტრე პავლეს ქუჩა.
28	„	„	ცარიელ მალაზიაში. კუთხე ლაზარევისა და ხივის შესახ. მანუკოვისა № 57.
29	„	„	მარინეს საეკლესიო სკოლაში.
30	„	„	ავლაბრის კლუბის ზამთრის შენობაში, კახეთის ქუჩა.

8-ე კომისარიატში

31	„	„	ალტმანის სახლში, კუთხე პროექტიროვანის და კახეთის ქ.
32	„	„	მალაკნების საზოგადოების სკოლაში, დესიმონოვის მოედ.
33	„	„	მე-4 მომრიგებელ სასამართლოს განყოფილებაში. სურფმინასის ალმართი.
34	„	„	პირველ კომერციულ სასწავლებელში, 19 თებერვლის ქ.

9-ე კომისარიატში.

35	„	„	პეტრე დიდის სახელობის სამოქალაქო სკოლაში, ჩერქეზიშვილის ქუჩა № 29.
36	„	„	მუშათა კლუბში, ერთობის უბანი.
37	„	„	მესამე მომრიგებელ სასამართლოს განყოფილ. ტურგენევის ქ.
38	„	„	კათოლიკურ საეკლესიო სკოლაში, ნიკოლოზის ქუჩაზედ. 59
39	„	„	სახელოსნო კლუბის შენობაში, მიხეილის პრ.

10-ე კომისარიატში

40	„	„	ავჭალის აუდიტორიაში.
41	„	„	ენფენჯიანცის თამბაქოს ქარხნის კანტორაში, ვოგზლის ქ. 8
42	„	„	2 ქართულ კლუბში (ყოფ. ხარფუხის კლუბი) მიხეილის პრ.
43	„	„	ზუბალაშვილის სახალხო სახლში. კიროჩნი ქუჩაზედ.

11 ე კომისარიატში

44	„	„	საკვირაო სკოლაში, კუთხე ჩერქეზიშვილისა და პავლოვსკ. ქ.
45	„	„	სამოქალაქო სკოლაში, ჩერქეზიშვილის ქუჩა, ს. ბოტტესი.
46	„	„	ნაძალადევის თეატრში, ჩერქეზიშვილის ქუჩაზედ.
47	„	„	სასურსათო დუქანში ს. მეტეხელის. ლოდკის ქ. 24.

12-ე კომისარიატში

48	„	„	რკინის გზის სამოქ. სასწავლებელში, შერემეტევის ქ. ზხრით
49	„	„	რკინის გზის სამოქალაქო სასწავლებელში. დემოკრატიულ კლუბში.
50	„	„	ყოფ. საჯირითო მოედნის კანტორა. მუშტაიდი.
51	„	„	ავჭალის წყალ-სადენი.
52	„	„	კოლონია ალექსანდერსდორფი.

საარჩევნო კომისია კიდევ ერთხელ მოგაგონებთ მოქალაქეთ, რომ ვისაც პირადობის ბარათი არ მიუღია და სიაში კი არის შეტანილი, უნდა მოითხოვოს ყუთთან თავისთვის საარჩევნო უბანში არჩევნების დღეებში.

საქალაქო საარჩევნო კომისია

ქართველთა აზნაურობის სტამბა, გოლოვინის პრ. № 26. ტელეფონი 4—73.